სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 99

2017 წლის 21 ივნისი

ქ. თბილისი

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების მოხსნის შესახებ

„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N86 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 31 მარტის N22 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-11 ქვეპუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის დავით ჩიჩუას სამსახურებრივი ბარათის (N853790; 20.07.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო მოიხსნას საპროექტო განაცხადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვერგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

დანართი
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2017 წლის 21 ივლისის N 99 ბრძანებით

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2017 წლის კონკურსში ტექნიკური ექსპერტიზის შედეგად მოხსნილი პროექტების ჩამონათვალი

(კონკურსის პირობების მე-4 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის; მე-3 მუხლის, მე-4, მე-8, მე-9 და მე-12 პუნქტების; მე-2 მუხლის, მე-15 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით)

N	შიფრი	პროექტის სახელწოდება	წამყვანი ორგანიზაცია	დარღვევები და შეუსაბამობები
1	stcu-2017-5	ჰემორეოლოგიის როლი მოციმციმე არითმიების ჩამოყალიბებაში	ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული მედიცინის ცენტრი	მტსუ-ს თანხები საერთოდ არ არის ასახული. შესაბამისად, არ არის დაცული თანხების განაწილების პრინციპი „ 50%/50%“ . დარღვეულია კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი.
2	stcu-2017-35	წყალმცენარეების გამოყენებით ჩამდინარე წყლების გაწმენდისა და ბიოსაწვავის მიღების ინტეგრირებული სისტემის დამუშავება	საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	ზედნადები აჭარბებს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 7%-ს. დარღვეულია კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი.
3	stcu-2017-50	ვირულენტური ბაქტერიოფაგები - β- ლაქტამაზა მაპროდუცირებელი, ანტიბიოტიკორეზისტენტული Klebsilla გვარის მიკროორგანიზმების წინააღმდეგ.	სსიპ გ.ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	ზედნადები აჭარბებს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 7%-ს. დარღვეულია კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი.
4	stcu-2017-60	პოლიმერული მასალების ზედაპირების ელექტრომაგნიტური ტალღების შთანთქმა-არეკლვის მოდულირება ლაზერული დასხივებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ზედნადები აჭარბებს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 7%-ს. დარღვეულია კონკურსის პირობების მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი.
5	stcu-2017-62	მრავალპორტიანი ტალღგამტარული შესახსრების კონსტრუქციის მოდერნიზაცია და ოპტიმიზაცია რთული ანტენური სისტემის კვების საჭირო რეჟიმის უზრუნველყოფის მიზნით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	არ არის წარმოდგენილი კოლაბორატორის CV . დარღვეულია კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი
6	stcu-2017-68	დაავადებათა კონტროლის ცენტრის შესაძლებლობების განვითარება - ახალი თაობის სექვენირებაზე დამყარებული კლინიკური აპლიკაციები	ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	არ არის წარმოდგენილი ბიუჯეტის ქართული ვერსია; არ არის წარმოდგენილი მონაწილეთა CV-ები, გარდა ერთი მონაწილისა; არ არის მითითებული სტატია; დარღვეულია კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი და მე-2 მუხლის მე-15 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი.

7	stcu-2017-81	ფუნქციონალური მრავალმიზნობრივი სილიციუმის დიოქსიდის აფსკების სინთეზი ზოლ-გელ მეთოდით მიკროელექტრონიკის, ნანოტექნოლოგიის და მედიცინისათვის	სსიპ „მიკრო და ნანოელექტრონიკის ინსტიტუტი"	არ არის დაცული თანხების განაწილების პრინციპი „50%/50%“. დარღვეულია კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი.
8	stcu-2017-83	პირის ღრუს ინფექციების გამომწვევი პათოგენების Prevotella intermedia და Porphyromonas gingivalis მიმართ აქტიური ბაქტერიოფაგების გამოყოფა და შესწავლა	გ.ელიავას სახ. ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი	არ არის წარმოდგენილი უცხოელი კოლაბორატორების CV- ები. დარღვეულია კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი.
9	stcu-2017-87	იმუნოლოგიური ძვრები ბაქტერიოფაგოთერაპიის დროს	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	არ არის წარმოდგენილი ბიუჯეტის ქართული ვერსია; არ არის წარმოდგენილი დანართები 4-9; დარღვეულია კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი.